№ 454. ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1896—1898 ხუთშაბათი, 12 თებერვალი, № 454

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.,
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фреилинская №13
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

საყველიერო რეპერტუარი

ქართულს დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
პარასკევს, 13 თებერვალს
და-ძმა
დრამა 5 მოქმედ. და 6 სურათ. ვალ. გუნიასი.
შაბათს, 14 თებერვალს
თამარ ბატონიშვილი
ისტორ. დრამა 5 მოქმ. კ. მესხისა.
კვირას, 15 თებერვალს
უკანასკნელი წარმოდგენა
სამშობლო
დრამა 5 მოქმ. და 7 სურ. თავ. დ. ერისთავისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი კ. მესხი

ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან
თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში 14 თებერვალს 1898 წლ.
საღამოს 8 ს. დანიშნულია

საზოგადო კრება

ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.
2) არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენლისა (გამგესი), ხაზინადარის და მდივნისა.

უცხო პირნი კრებას ვერ დაესწრებიან.
წევრთ ამხანაგობისას კერძო ბარათები არ გაეგზავნებათ. (3—2)

„ხელოსანთა ამხანაგობის კრება“

დანიშნულია კვირას, 15 თებერვალს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ქარვასლაში. ხაზინადარი მოახსენებს კრებას საქმის მდგომარეობას და ფულის ანგარიშს. (3—1)

იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში

(გიორგიევის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, არჯევანიძის სახლი, № 12)

ისყიდება ყოველ-გვარი ქართული (ძველი და ახალი გამოცემული) წიგნები, რუსული ჟურნალ-გაზეთები და სახელმძღვანელოები.

საკუთარი გამოცემანი:

1, **ლექსები და პოემები**,—ი. ევდოშვილისა — 25 კაპ.
2, **ბახტრიონი**, —პოემა ვაჟა-ფშაველასი (სურათებით) — 20 კაპ.
3, **გლეხის ნაამბობი** და სხვა ლექსები დ. მაჩხანელისა — 5 კაპ.
4, **დიდ-მოურავიანი**, ანუ გ. სააკაძის ცხოვრება, პოემა თბილელისა — 30 კაპ.
5, **ხალხური პოეზია**, კრიტ. წერილი ფ. მახარაძისა — 20 კ.

მსურველთ შეუძლიანთ გაიწერონ წიგნები ფას-დადებით (საკუთარს გამოცემებში ფოსტის ხარჯი არ გარდახდებათ). ფასი შეიძლება მარკებითაც გამოგზავნონ. სოფლის წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს ფას-დაკლებით დაეთმობათ წიგნები.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля I. Имедашвили.

იბეჭდება და მალე გასასყიდად გამოვა: „რა არის ხარკი?“ (10—1)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. გ. თოფურია.**

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს

ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.

ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.

სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს

ძველს ფულებს და იარაღებს

მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში

იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.

Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100 31

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.

ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.

მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)

მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.

Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачіемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ

(150—89)

მინდა ვიყიდო

(12—9)

ცოცხალი



კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, ვეფხვები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული გირები, ჯორცხენები და სხვ.

საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.

მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, გზოში; ბარამოვის სახ.

ჰუგო ვინკლერს

Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру.

XXXX

გამოვიდა და ისყიდება

უბის წიგნი

1898 წლისათვის
= მშვენიერის ყდით და ყარანდაშით =
ფასი 20 კაპ.

უბის წიგნში მოქცეულია მართლ-მადიდებელთა კალენდარი, უქმეები და დღესასწაულნი დაბეჭდილია წითელის ფერადებით და სურათები მეფე ერეკლე II-სა და თავ. ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულის ცნობებით.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს, ფოსტის ფული არ დაეხარჯება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკები გამოგზავნონ.

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ნაწილი პირველი: **საერო კრება.**
ნაწილი მეორე: **სამშობლოს განსაცდელი.**
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

იქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:

ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.

ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—22)

ახალი ამბავი

*** **ქართული წირვა აკადემიაში.** „მთავრობის უწყ.“-ში სწერია: „ამ წლის 14 იანვარს, მოციქულთა სწორის ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს მოგონების დღეს, ყაზანის სასულიერო აკადემიის ტაძარში გარდახდილ იქმნა ქართული წირვა. მწირველი იყო I კურსის სტუდენტი მღვდელი ბესარიონ ხელაია, რომელსაც ეხმარებოდა დიაკონ მონაზონი დავითი (ექვთიმე კაპანიძე), სტუდენტი მესამე კურსისა, ორივე შთამომავლობით ქართველი. წირვის დროს ჰგალობდნენ სტუდენტები, სასულიერო სემინარიის შეგირდებად ნამყოფნი (ქართველები და რუსები), ზოგიერთ საგალობელს ქართულად ასრულებდნენ. „საეკლესიო უწყება“ ამ შემთხვევის გამო აღნიშნავს ზოგიერთ განსაკუთრებულ თვისებას ქართული წირვა-ლოცვის კილოსას რუსულთან შედარებით. ყველაზე უწინ თვით ხასიათი ექტენიების წარმოთქმისა, სამოციქულოს და სახარების წაკითხვისა რამოდენიმედ სხვანაირია. რუსულად ექტენია ასამაღლებელი წარმოითქმის უმეტეს ნაწილად გაბმით და ერთი ნოტით, ძვირად ორით; სამოციქულოსა და სახარებას ან ამ ნაირადვე ვკითხულობთ, ან-და ხმის თან-და-თან ამაღლებით, ასე რომ ბოლოს წარმოთქმული ხმა უმაღლესი და უძლიერესია ქართულ წირვა ლოცვაში სულ სხვა და სხვა გვარია კილო და ტემპი; სწრაფ რეჩიტატივს უთუოთ თან სდევს პატარა-პატარა მე-

ლოდიური ფრაზები სამ ანუ ოთხ ტიან-შუა; უკანასკნელი თვისება განსაკუთრებით სამოციქულოისა და სახარების კითხვას ემჩნევა, სადაც ერთი მელოდიური ფრაზა განმეორებით წარმოითქმის წირვის დროს. სამ ხმაზე გალობდნენ (ორი ტენორი და ერთი ბანი); უმთავრესი მელოდია წარმოადგენს საშვალო ხმას (მეორე ტენორი), თუმცა არც სხვა ორი ხმაა მოკლებული მელოდიურ მიმოხვრას. მრავალ მელოდიანს ემჩნევა ის თვისება, რომელიც აქვს ძველებურ საეკლესიო გალობას და აგრეთვე აღმოსავლეთურსა და რუსულ სახალხო სიმღერას: მელოდია თავდება არა იმ ძირითად კილოზე, რომელზედაც დამყარებულია იგი, არამედ რომელსამე მახლობელ მონათესავე კილოზე. მელოდია არ არის მრავალგვარი, მაგრამ საკმაოდ მდიდარია და წვრილ-წვრილი ძლივს შესამჩნევი კილოებით არის სავსე. წირვას დაესწრო მრავალი სტუდენტი, ზოგიერთი პროფესორი და უსამღვდელოესი რექტორი“

*** **პირველი სხდომა.** გ. გ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით, რომელიც გუშინ შეუდგა ქალაქის მოურავის თანამდებობის ასრულებას, მოხდება, როგორც ამბობენ ორშაბათს, 16 თებერვალს.

*** **ცეცხლის გაჩენა ავლაბარში.** სამშაბათს, 10 იანვარს, ღამის 1 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ავლაბარში, ვარდის უბანში რამდენიმე დუქანს და გადაიწვა. იქიდან წეეკიდა პაპიროსის ფაბრიკას ამხანაგობა „მირ“-ის ას ცეცხლის მქრობელთა რაზმიც შემდეგში მოვიდა, მაგრამ ზემოხსენებული დუქნები კი სულ ერთიან გადიწვა და ქარხანაც ნახევარი გადაარჩინეს. რასაკვირველია, ზარალი დიდი იქნება. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, თუ საიდან გაჩნდა ცეცხლი. მრავალი ცხენი და პირუტყვი დაიწო.

*** **სანიმუშო ანგარიში საეპარქიო ზედამხედველისა.** ქართლის საეპარქიო ზედამხედველს ბ. ნ. გ. ტატიშვილს ამ დღეებში საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირისათვის წარუდგენია ორი სანიმუშო ანგარიში: ერთი იმ პედაგოგიურისა და სამეურნეო კურსების შესახებ, რომლებიც გამართულ იქმნა ტფილისში შარშან ზაფხულში ქართლის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის, ხოლო მეორეთვის მიერ ერევანისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიების დავლის შესახებ.

*** **ყაჩაღის შეპყრობა.** გაზ. „კავკაზს“ შუშიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ცნობილი განჯელი ყაჩაღი ჰუსეინი, რომელმაც პოლიცმეისტერს წინააღმდეგობა გაუწია და რომელმაც ისე აიკლო ყველაფერი, რომ განჯას ეკზეკუცია ჩაუყენეს, უკვე შეპყრობილ იქმნა ჯებრაილის მაზრის უფროსის თანაშემწის რუსტამ ბეკოვის-მიერ, ბ. გუბერნატორის მინდობილებით.

*** **პოლიტეხნიკუმის საქმე ტფილისში.** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანს ი. ა. თაიროვს ტფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის შეუწირავს 1,000 მან.

— გამგეობის წევრნი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ზ. ა. ვერმიშევი წავიდნენ, პირველი ბათუმში, მეორე ბაქოში, ამ ქალაქების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, თუ რა ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენენ ისინი ტფილისის განზრახულ პოლიტეხნიკუმს.

*** **ერობის საქმე ჩვენში.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთმა წევრმა წარუდგინა საზოგადოების საბჭოს განცხადება, რომ საზოგადოებამ თვის მხრით აღძრას შუამდგომლობა კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

*** **დამნაშავეთა გადასახლება.** კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ქუთაისის მცხვრები გვახარია და ტფილისის მოქალაქენი სამი ძმა კარილინსკი გადასახლებულ იქმნენ სამი წლის ვადით ხარკოვის გუბერნიაში, პოლიციის მესამე განყოფილების ქუჩის დარაჯის გალახვისა და პოლიციასთან წინააღმდეგობის გაწევისათვის.

*** **პრესმანის ფქვილის შემოწმება.** საბჭოს ექიმის ბ. გონიევის მიერ ვაჭარის პრესმანის საწყობში აკრძალული ფქვილი შემოწმებულ იქმნა და აღმოჩნდა სრულიად უვარგისი, რის გამოც მისი გაყიდვა აღარ შეიძლება.

*** **ახალი დანიშნულება.** გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: თურქესტანის სამხედრო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გენ.-მაიორი მაკედონსკი დანიშნულია კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ; პოლკოვნიკი კლიმოვი დანიშნულია ყარსის ციხის არტილერიის უფროსად. ალექსანდროპოლის გამოძიების განყოფილების მომრიგებელის მოსამართლის თანაშემწე პოსლავსკი გადაყვანილია არდაგან—ოლთისის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების გამგედ.

*** **მეფე ირაკლის სურათი.** ცნობილ ფოტოგრაფს და სიძველეთა მომგროვებელს ბ. ა. ს. როინაშვილს აღმოუჩენია ირაკლი II-ის მეტად საინტერესო სურათი, რომელიც ეკუთვნის იმ დროს, როცა მეფე-გმირი ჯერ კიდევ არ შესდგომოდა იმ სამხედრო ასპარეზს, რომელმაც მას შემდეგში სახელი გაუთქვა. მაგრამ სურათიწააგავს ირაკლის საზოგადოდ ცნობილ სურათს. („კავკ“).

*** **სატელეგრაფო სკოლები.** როგორც ისმის, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე განზრახვა აქვთ დააარსონ სატელეგრაფო სკოლები შემდეგ სადგურებში: ტფილისისა, ხაშურისა, განჯისა და ბაქოსი. ამ სკოლების მიზანია მოამზადოს ის პირნი, რომელთაც სურთ ტელეგრაფისტობა ან კიდევ ისეთი სამსახური რკინის გზაზე, საცა საჭიროა ტელეგრაფის საქმის ცოდნა. პირველ ხანებში განზრახულია შემდეგი შტატი მოსწავლეთა: ტფილისში—24, ბაქოსა და განჯაში თექვსმეტ-თექვსმეტი და ხაშურში 8 მოსწავლე. საჭიროების-და გვარად გახსნილ იქნება სკოლები სხვა სადგურებზედაც. განზრახულია მიღებულ იქმნენ შეგირდებად როგორც მსახურთა შვილებ-ნათესავები, ისე გარეშენიც, რომელნიც დააკმაყოფილებენ უწყებულ პირებს, ხოლო უპირატესობა პირველთ მიეცემათ. სწავლა სკოლებში განზრახულია უსასყიდლოდ, განყოფილებათა კონტროლერ-მექანიკოსების პირდაპირი ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. სწავლა გაიმართება ხოლმე ყოველ დღე 2—3 საათი და მასწავლებლებად იქნებიან ტელეგრაფის განყოფილების მსახურნი, განყოფილების უფროსის დანიშვნით. ამ სკოლების პროექტი შედგენილია და უკვე გარდაეცა გზის უფროსს დასამტკიცებლად. ასეთი სკოლების საჭიროება დიდი ხანია საგრძნობი შეიქნა და იმედია საქმე სასურველად დაგვირგვინდება.

*** **ქართული საღამო ბაქოში.** შაბათს, 14 თებერვალს, ბაქოში იქაური ქართველობა გამართავს ქართულ საღამოს. ამ საღამოსთვის მოწვეულნი არიან: ბ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა და ივ. მჭედლიშვილი, რომლებიც წარმოადგენენ ორ მოქ. კომედიას: „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“. აგრეთვე მიწვეულია მთელი ხორო ალ. კავსაძესი და ივ. მჭედიშვილისა. ეს საქველ-მოქმედო ქართული საღამო ყოველ წელიწადს იმართება ხოლმე და დიდ-ძალი ხალხიც ესწრება, რასაც წლეულაც მოელიან. შემოსავლიდამ მომეტებულ წილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ დრამატიულ კომიტეტს უგზავნიან ხოლმე.

*** **კავკასიის გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვი.** აღწერის კომისიის ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, რომ კავკასიაში ყველაზე უფრო სქლად დასახლებული ერევნის გუბერნია ყოფილა (34,6), შემდეგ ქუთაისისა (33,5), მას შემდეგ ტფილისისა (26,6), მერე მიჰყვება ყუბანის ოლქი (23,5), ბაქოს გუბერნია (22,9), დაღესტანის ოლქი (22,4), განჯის გუბერნია (22,4), ყარსისა (17,9), სტავროპოლისა (16,6), თერგის ოლქისა (15,3) და შავი ზღვის პირისა (8,4).

*** **დედაკაცთა და მამაკაცთა რაოდენობა კავკასიაში.** იმავე ცნობებიდან სჩანს, რომ ყველგან დედაკაცთა რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას, ისე, როგორც შუა აზიაში, სადაც ყველგან ქალი უფრო ბევრია მამაკაცზე.

*** **თავ-გასულნი „მებუფეტენი“.** დიდათ თავ-გასულნი არიან ზოგიერთნი „მებუფეტენი“: ეს ვაჟბატონები არავითარ ზრდილობას არ იცავენ მგზავრების შესახებ, ნამეტურ იმათ შესახებ, ვისაც მდარედ აცვია, მას არც-კი რაცხვენ კაცად. ეს კიდევ არაფერი. ისინი რკინის გზის მმართველობის დაწესებულ ნიხრსაც კი აღარ სჯერდებიან და თუ ვისმე შეატყვეს, კითხვა არ იცისო, ნამეტურ ჩოხოსნებს, შენი მტერია, ის მათ გაჰყვლიფონ; წარუდგენენ ანგარიშს ერთი-ორად და თუ მუშტარმა კრინტი დასძრა, დაუწყებენ თავხედურად ყვირილს და ლანძღვას, ამის გამო მუშტარი იძულებულია გადიხადოს, რასაც „ლაქიები“ მოსთხოვენ. ხშირად ასეთივე დღე ადგებათ თვით რკინის გზის მოსამსახურეთაც. ამათ, ვალდებულნი არიან, დაკლებულ ფასად მიჰყიდონ სასმელ-საჭმელი, მაგრამ ვაი იმ მოსამსახურეს, ვისაც შუბლზე კაკარდას არ დაუნახავენ. კაკარდის გარდა მათზე გავლენა არა აქვს არაფერს. ასეთი თავგასულობა ყველაზე უფრო სუფევს რიონის სადგურის „ბუფეტში“ და დროა ყურადღება მიექცეს ასეთს უწეს-რიგობას.

ვ.

*** **დ. ახალ-სენაკი. სასიამოვნო მოვლენა.** სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ კვირას, 8 თებერვალს, აქაურს ეკლესიაში ჰგალობდა ქართულად წირვის დროს ახლად დაარსებული საეკლესიო სამრევლო საქალებო სკოლის მოსწავლე პატარა ქალების გუნდი დ. პალიაკანიძის ლოტბარობით. მთელი ახალ-სენაკის ახლო მახლო მცხოვრებნი მათ საამო გალობამ აღტაცებაში მოიყვანა. მით უფრო, რომ ეს სკოლა ერთი თვეა რაც დაარსდა და ასე მალე შეესწავლათ, არამც თუ გალობა, რომელმაც მსმენელი მოხიბლა, არამედ სხვა საგნებშიაც დღესვე წინ მსვლელობა ეტყობათ. გაუმარჯოს მათ მასწავლებელს ქ-ნს ანასტასია ვას. ლომინაძის ასულს და სხვებს, რომლებიც ზრუნავენ ხსენებულ სკოლის წარმატებისათვის! სულით და გულით ვისურვებ ამ სკოლის წინსვლას...

— **ცეცხლის გაჩენა.** 7 თებერვალს შუაღამეს ცეცხლი გიუჩნდა ერთს აქაურს მცხოვრების ხის დუქანს, რომელიც ერთის საათის განმავლობაში ფერფლად იქცა... თებერვალი კარგის ამინდით დაგვიდგა. ასე რომ ბუნება ცელქობს, მხიარულობს და ეთამაშება მზის სითბოს.

ტრიფონ კალანდარიშვილი

*** **ს. ჯუმათი.** არ იქნა და არ გვეღირსა ჯუმათლებს მოსვენება ქურდ-ბაცაცებისაგან; ბევრჯერ ყოფილა ჩვენს გაზეთებში ჯუმათის ავკარგიანობაზე ლაპარაკი, მაგრამ ამ ავ-კაცობას მაინც ბოლო კი არ ეღება; ოც ქრისტეშობისთვეს საღამოს შვიდ საათზე, სადგურ ჯუმათში ი. სვანიშვილის დუქანში შევიდა სამი ახალგაზდა რაინდი. მოითხოვეს ჩითეული, კალოშები, შალები და რა ვიცი რეები, სულ ღირებული ოცდა ხუთი მანეთისა. ფულის მიცემის დროს ერთმა დაავლო ხელი და გამოვარდა კარში. ვაჭარმა მიაძახა ფულიო, მაგრამ მეორემ დააუწყო ლაპარაკი: ფულს მე მოგცემო. რა კი პირველი გაშორდა დუქანს, მეორემ მოხსნა გუდას პირი. „საქონელი მას გაატანეო და ფული მე მოგცეო!“ დაიპირეს ეს ვაჟბატონი. წარუდგინეს ყარაულს. მეორე დღეს შეიპყრეს სამნივე და დაატუსაღეს. არ გასულა ხუთი დღე, ისევ ი. სვანიშვილის სასიმინდე მაღაზიას, რომელშიაც რვაასი ფუთი სიმინდი ინახებოდა. წაუკიდეს ცეცხლი. მერე რაფერ ოსტატობით: მოზიდეს, თურმე, ერთ ქოთანში ნაცარი ნავთით, დაუდგეს დუქანს და წაუკიდეს ცეცხლი. ყველანი დაწოლილი იყვნენ, თურმე, მხოლოთ სადგურის უფროსი ღამის მატარებელზედ გამოსულიყო და დაენახა ცეცხლი თუ არა, დაიწყო ყვირილი: მიეშველეთ კაცები დაიწვაო. წამოცვივნდენ და სადგურის უფროსის საშუალებით, როგორც იქმნა გადაარჩინეს, მაგრამ სიმინდი კი მაინც დაეღუპა. ამ საქმეზე გამოძიება ეხლაც სწარმოებს.

არ. ე—ძე

*** **ფოთი. აქაური ჩარჩ-ბერძნების გაიძვერობის ნიმუში.** ამას წინად ერთს აქაურს მესიმინდე ბერძენს, ერთმა მემამულემ რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი მიჰყიდა, რომელიც ვადაზე უნდა ჩაებარებინა; ბერძენი შეჰპირდა ამდენს ფასს მოგცემ თითოეულ ფუთ სიმინდზეო; ეს პირობა წერილობითაც გამოაწყეს. როდესაც მემამულემ სიმინდი ნავებით მიუყენა ბერძენს მაღაზიასთან, ბერძენმა გამოუცხადა შენი სიმინდი უვარგისია, თუ გინდა მომყიდე ორ შაურ ნაკლებ ფუთი გარიგებულ ფასზე და თუ არა და არ მივიღებო; თან სხვა მყიდველებთანაც ხმა გაავრცელა, რომ სიმინდი წუნდადებულია ჩემგანაო. სიმინდი სრულიად უმიზეზოდ იყო დაწუნებული, მაგრამ ბერძენს უნდოდა ასეთის მალაყით ესარგებლნა. მემამულემ სიმინდი არ გაყიდა, მაღაზია იშოვნა და იქ შეინახა დროებით. რამდენიმე დღის შემდეგ ერთი ნავი სიმინდი იმავე საქონლისა სხვისი სახელით მიუგზავნა იმავე ბერძენს. ბერძენმა ნახა სიმინდი, სრულიად საღი საქონლათ აღიარა და კიდეც იყიდა სრულს ფასში. და როდესაც მემამულემ ხელ-მეორეთ თხოვა მისი საქონლის მიღება, უპასუხა შენი სიმინდი არ ვარგაო. მაშინ მოთმინებიდგან გამოსულმა მემამულემ ბერძენს პირობები დაახევია და საქონელი სხვას მიჰყიდა. ეს ის ბერძენი გახლავსთ, რომელიც თავის ქვეყანაში მექოთნე ყოფილა და როდესაც ჩვენში მობრძანებულა მეწაღეობა დაუწყია, ხოლო შემდეგ სიმინდის „ეკსპორტერი“ გამხდარა და ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს სამეგრელოს ვაჭრებს თვალთმაქცურის გაიძვერობით ატყუილებს და ყვლეფავს და მაინც პატიოსან კაცებში იჭერს თავს და ბევრნი მეგობრობენ კიდეც. ნეტავი, როდის იქნება ისეთი დრო, რომ ამ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოების გამანადგურებელი წურბლები მოისპობოდეს, როდის იქნება აქაური ქალაქის საქონლის საწყობებმა დაიწყონ წარმოება და „დეზინფექცია“ მოახდინონ ჩვენს ქვეყანას ამ გაიძვერა ბაცილების წინააღმდეგ. საკვირველი ის არის, რომ ეს ვაჟბატონები ჩვენს ხალხს და მოვაჭრეთ შედარებით ჭკვიანებს და გამოცდილებს ბავშვებსავით ატყობინებენ. არც შეძლება და არც განათლება არ მოეპოვებათ და მაინც ჩვენსას შეძლებულსაც და განათლებულსაც ბატონობენ და სარგებლობენ მუქთოთ.

მიხ.

*** **ს. კულაში** (იმერეთი). **წუწკა-ბიჭები.** რამოდენიმე ხანია აქ არ ხდება ღამის რაინდებისაგან «საგმირო» საქმენი, მაგრამ არა ნაკლებ ვართ შეწუხებული „წუწკი ბიჭებისაგან“, რომელნიც ხან ჩვენ სოფელში და ხან სხვა მახლობელ სოფლებში შინაურ ფრინველებს მუსრს

ავლებენ. ზოგს ბატები ეკარგება, ზოგს ინდაურები, ზოგს ქათმები და სხ., თუმცაღა არც ქირნახულს აცილებენ ხელს თუ კი „იხელთეს“ ადვილათ. ამ „ვაჟბატონებს“ ერთი და ორი დღის დაწყებული არ აქვსთ ეს საქმე და ნუ თუ არავინ პატრონსანთაგანმა არ იცის მათი ვინაობა, მაგრამ ალბათ იცოდებენ, ერთი და ორი ინდაურისთვის, როგორ დავაკარგვინო კაციოდა ამასობაში წვრილმანი ზარალი შემდეგში საგრძნობლად გარდაიქცა.

*** **საკორინთლო** (ქართლი). **ფერშლის განდევნა.** საკორინთლოში დღეს ავადმყოფობა მძვინვარებს, როგორც ბ-ნი ელ. ჯაჯანაშვილიც იუწყებოდა ამას წინად, მაგრამ ავადმყოფნი მოკლებულნი არიან ექიმის დახმარებას. ეს უკანასკნელი გარემოება უმთავრესად თვით ხალხის უვიცობით არის გამოწვეული. განა არ იყო აქ ფერშალი და აფთექი? განა მუქთად არ აძლევდნენ ყველას წამლებს და რჩევა დარიგებას? განა ცოტი ავადმყოფი მოარჩინა თ. ი. გ. ამილახვარის მიერ მოწვეულმა ფერშალმა? მაგრამ როგორ მიეგებნენ გლეხები ასეთს დახმარებას? სრულიად გულ-გრილად, და ასე გამინჯეთ, ერთი სუფთა ოთახიც არ უშოვეს ფერშალს წამლების შესანახად, (ფერშალი ხალხს სხვა არაფერს სთხოვდა). ამის გამო ფერშალი წავიდა იქ, საიდგანაც მოვიდა, ე. ი. ცხინვალში, სადაც ექიმიც არის და რამდენიმე ფერშალი!.. სანამ ხალხს უჭირდა, სარგებლობდა ფერშლის დახმარებით, მაგრამ როცა დროებით გაჭირებას და ავადმყოფობას თავი დაახწია, ყაყანი ასტეხა და გაიძახოდა: „ფერშლის შენახვის თავი არა გვაქვს“, თუმცა მის შენახვაზე არავის არა ეხარჯებოდა რა. მართლა რომ ცოტაოდენი ხარჯიც ეკისრა ხალხს ფერშლისათვის, არას წააგებდა. მთელ ჭალის ხეობას რომ გამოეღო ეს ხარჯი, თითო კომლს შაურზე ნაკლები შეხვდებოდა და განა ეს დიდი შეწუხება იქნებოდა გლეხ-კაცისათვის?

ქ. ექვთემიაშვილი

*** **ს. ქვალონი** (სამეგრელო). **სამკითხველოს უქონლობა.** ს. ქვალონი საუკეთესო სოფელია ზუგდიდის მაზრაში და რომელშიაც ითვლება 500 კომლი მცხოვრები; ამათში თავადნი (ჩიჩუები) და აზნაურნი (ნარაკიძეები, ლოლუები და გვათუები) 50 სახლობამდე იქმნებიან. და განა ამოდენა მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ, რომ წიგნთ-საცავი და სამკითხველო იქონიონ და გაავრცელონ ჟურნალ-გაზეთების კითხვა საზოგადოებაში?

მაშინ, როდესაც ყველა სოფლებიდან და კუთხეებიდან გვესმის, რომ ამა და ამ სოფელში გახსნეს წიგნთსაცავი და სამკითხველოვო და როდესაც ყველანი და ყველგან სცდილობენ შეძლების-და გვარად კითხვის გავრცელებას, ჩვენ არას ვაკეთებთ და დღემდე არც ვსთხოვთ მთავრობას ნება მოგვცეს წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებისა! განა სირცხვილი არ არის?

ყარამან

*** **ს. მეღვრეკისი.** (ქართლი). **სამრევლო სკოლის შენობის კურთხევა.** ამ თვის რვას აკურთხეს სკოლის ახალი შენობა, რომლის დამთავრებას მოუთმენლად მოელოდნენ აქაური შეგირდები, რომლებიც იშვიათად იარებოდნენ ძველს სკოლაში რადგანაც ძრიელ შორს იყო და იქ სიარული, მეტადრე ზამთარში, როდესაც ვიწრო ორ ღობეები ამ სოფლისა თოვლით იყო გადალესილი, მართლაც გასაჭირი იყო პატარებისათვის. სკოლის შენობად გადააკეთეს პურის მაღაზია მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ აქ ჯიბრობამ იჩინა თავი, რის გამოც სასურველად ვერ დამთავრდა საქმე. ეს შენობა ორად გაჰყვეს, მაგრამ ერთი ოთახი მასწავლებლის ჯიბრით ისე პატარა დაიჭირეს, რომ „თაგვი კუდს ვერ მოიქნევს შიგაო“, რომ იტყვიან, სწორეთ იმოტენაა. ეს მით უფრო ცუდია, რომ გლეხკაცებს მეორედ მოუნდებათ ხარჯის გაწევა და შენობის მომატება, რადგანაც ამ პატარა ოთახში, ვინც გინდა მოვიდეს მასწავლებლათ, ვერც დადგება და ვერც მოთავსდება. ეჰ! ან კი ვის უნდა დავემდუროთ? თვით ბუნებას დაუნათლებია ქართველობისათვის ერთმანეთის ჯიბრი და ქიშპობა!! სხვაში რაშიმე რომ გაუწიოს კაცმა კაცს ჯიბრი, ჩვენის აზრით, ამისთანა დიდ საქმეში, როგორიც არის სკოლა, უნდა დაუტევოთ მტრობა, ჯიბრი, სიძულვილი და შეერთებული ძალით ერთგულათ გავწიოთ ის მძიმე უღელი, რომელსაც გვდებს სოფლის სკოლა — ერთად-ერთი საშუალება გლეხ-კაცების წინ მსვლელობისა.

იმედი გვაქვს, რომ ამ ახალ შენობის კურთხევის შემდეგ ამ სოფელში დაიწყება ახალი ხანა, შორს განვუტევთ ერთმანერთის სიძულვილს და შეერთებული ერთად ვეცდებით გლეხ-კაცობის წინ წაყენებას...

მეღვრეკელი ჩიტი

*** **სოფ. ჩიბათი.** (გურია) **მკვლელობა.** 5 თებერვალს სოფ. ჩიბათში, ოზურგეთის მაზრაში, გლეხის ივანე სარჯველაძის ქორწილზე, როცა კარგად შეთვრენ, სტუმრებმა ერთმანეთს ჩხუბი აუტეხეს და შემდეგ შეჯახებაც მოხდა. საზოგადო ცემა-ტყეპაში ცხოველი მონაწილეობა მიიღო თვით სიძემაც, სარჯევლაძემ და ხარლამპი ჩხარტიშვილმა. სარჯეველაძემ სტაცა ხელი ტაბურეტკის სკამს, დაანარცხა თავზე ჯურუყეთის მცხოვრებს გრიგოლ ასლანიშვილს და იქვე სული გააფრთხობინა. მოკლულს დარჩა ქვრივი და შვიდი მცირე წლოვანი ბავშვი.

*** **დ. სამტრედია** (იმერეთი). **მკვლელობის განძრახვა.** 6 თებერვალს სტეფ. გეგიის სამიკიტნოში ღვინის სმის დროს მეეტლემ პავლე შენგელიამ მოიხმო თავისთან მეორე მეეტლე დ. ბალანჩივაძე და უთხრა, რასაც შენ მიპირებდი, იმას ახლა მე ავასრულებ შენზეო, — სთქვა თუ არა ეს, ამოიღო რევოლვერი, ესროლა ბალანჩივაძეს და ტყვიამ მარჯვენა ხელში გაუტარა. რომ ბალანჩივაძეს მარჯვე თავი არ დაეჭირა, სიკვდილს ვერ აიცდენდა.

*** **შემახა.** **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** სამხედრო კლუბის დარბაზში, შემახის პოლკის აფიცრების მეთაურობით წარმოდგენა იყო გამართული, შემახის სამრევლო-სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნა რუსულ ენაზედ სამ მოქმედებიანი კომედია „Теплые ребята“. შესანიშნავი იყვნენ ქნ. ნ. წულუკიძისა ქენის როლში და ქ-ნი გლაფირა ტიხენკოსი, სერაფიმას როლში. ანტრაქტებში უკრავდა სამხედრო მუსიკის ხორო. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც გასტანა ღამის ორ საათამდინ. ხალხი დიდი ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. დიდი მადლობის ღირსნი არიან თ. ვ. წერეთელი და ბ. კ. არლოვსკი, რომელთაც არა მცირედი ჯაფა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში, რომელთაც გვაღირსეს მთელ წელიწადში მაინც ერთი წარმოდგენის ნახვა.

— **საძაგელი ამინდები.** იანვარში მშვენიერი დარები იყო. გვეგონა გაზაფხული მოგვივიდაო, მაგრამ დადგა თებერვალი და დაიწყო წვიმები და თოვლი, ცოტა აცივდა და ისეთი ტალახია ქუჩებში, რომ თუ კაცს კარგა არა აქვს ფეხსაცმელი გაწყობილი, ტალახში ჩარჩება და შინ ფეხშიშველა მივა.

*** **ქუთაისი.** **მწვანე ბაზრის უსუფთაობა.** ვერ წარმოიდგენთ როგორ უყურადღებოდ არის დატოვებული მწვანე ბაზარი, სადაც ყოველ დღე იმართება ვაჭრობა. აქ ისეთი საშინელი სუნი სდგას, რომ თუ ცხვირი ხელ-სახოცით არ აიხვიეთ, გულს შემოგეყრებათ. ეს სუნი უმთავრესად აი საიდგან წარმოსდგება. აქ იდგა საზოგადო ფეხის ადგილი, რომელიც ამ 2—3 კვირის წინად ჩაინგრა და აი აქედან ამოდის საძაგელი სუნი. საკვირველია, რად არ დააყენებენ მუშებს ამ ადგილის გასაწმენდად. და ფეხის ალაგის გასაკეთებლად?..

პეტრე-ყობელა

*** **ს. ნიგოითი** (გურია). **მადლობის გამოცხადება.** ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ნიგოითის სადგურის მოვაჭრეებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ნიგოითის უფასო სამკითხველოსათვის. გიგო მშვიდობაძემ—1 მანეთი, ერასტო ფირცხალაშვილმა—1 მანეთი, დიმიტრი მშვიდობაძემ—1 მანეთი, ალექსი თავდიშვილმა—1 მანეთი, ფილიპე ორმოცაძემ შვიდი აბაზის ნავთი. იაგორ კალანდაძემ—ათი შაური, ერმილე სურგულაძემ—30 კ., გიტო ორმოცაძემ 30 კ., ივლიანე შანიძემ 30 კ., ფილიპე კალანდაძემ- 30 კაპ., იესე ტოროტაძემ—30 კ., ლევან გოგვაძემ—1 მან. და ივანე ფირცხალაშვილმა- 20 კაპ. ამასთანავე უმორჩილესად ვსთხოვ ამ სამკითხველოს წევრთ კეთილ ინებონ და ხვედრი საწევრო ფული დროზე მოგვაშველონ სამკითხველოს აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

გამგე სამკითხველოსი ლეონტი ჯაში

*** **ს. ლიხაური.** (გურია) **მადლობა შემოწირულობისათვის.** ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ საშვალებით გამოუცხადო უგულითადესი მადლობა ჩემი მოწაფეებითურთ ბ. ალექსანდრე ლევანის ძე თოიძეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოუგზავნა ჩემს მოსწავლეებს 200-მდე ქართული წიგნაკები, გამოუწერა ჩემს სკოლას მთელის 1896 წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და გაზეთი „ივერია“ ერთი წლისა 1896 წლიდან დაწყებული წარსულის წლის 1-ლ სეკტემბრიდან ყველა ნომრები.

ვისურვებთ ბ. თოიძის კეთილ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და არ დაივიწყონ ღარიბი ჩემი სკოლა და ბავშვები.

ლიხაურის სკოლის მასწ. პ. ოდიშარია

*** **დაგვიანებული პასუხი.** ცნობის ფურცლის წარსული 1897 წლის 237 №-ში ბ. ან. იო—ავა აუწყებდა მკითხველებს ს. ბია არ განიყოფება ორ ნაწილადაო: ზემო და ქვემო ბიად; ქვემო ბია ზემო ბიაზე ხუთი ვერსით არ არის დაშორებულიო და სხვ. ეს სიცრუეა, ბია დიდი ხანია როგორც ორ შტატს წარმოადგენს განიყოფება ორ ნაწილად: ეკოხონი და გიმახონი ბიად. ხოლო შარშან წინ, როცა ჩვენი ახალი ეკლესიის დაწყების დროს ყრილობა გვქონდა, ეკოხონი ბიას დავარქვით ზემო ბია და გიმახონი ბიას ქვემო ბია. ბ. ან. იო—ავა ბრძანებს: ს. ბიას ორი ოთხ კუთხი ვერსი ადგილი ძლივს თუ უჭირავსო. ამ ორ სოფელს-კი ორი ოთხ კუთხი ვერსი ახალი შემენილი ადგილი ექნება და სულ 8 ოთხ კუთხი ვერსი (ამაზე დასარწმუნებლად იხ. მიწის-მზომლის გეგმა). ერთი ეკლესია ბიელებს უკვე აქვთ, რომელიც აშენებულია გამოჩინებულს ადგილზეო». ეკლესია მართლა «გამოჩინებულს» ადგილზეა აშენებული, მაგრამ სანამ ეკლესიის ეზოში ეღირსებოდეთ შესვლას, მანამ აღმართი გაწყევლინებს დაბადების დღეს, თორემ მერე კი გათქმევინებს, თავს დავჩერებივარ მთელ ქვეყანასაო. «გზაც კარგი აქვს ყოველ შემთხვევაში და ამ გზაზე სიარულის დროს არავინ დამარცხებულაო» ამ სოფლის გზაზე შარშანწინდელი ცნობის ფურცლის №-შიაც იყო ჩივილი ვიღაც კორესპონდენტისა. მაგალითად, ამ 8 წლის განმავლობაში ი. ა—მია გადავარდა გზიდან და ცხენიანად საშინლად დაშავდა, ე. გ—ამ ფეხი მოიტეხა ამ გზაზედ, პავ. იო—კას გადუვარდა ურემი და დელიდან ამოიღეს ნაფოტები და სხ. ახალი ეკლესიისა ჯერ სამირკველია ჩაყრილი და კედლებს როდის ამოიყვანენ, ეს ღმერთმა უწყის“ ესეც მტკნარი სიცრუეა. ისევ 1896 წელში კედლები ახალ ეკლესიისა 3 არშინი იყო ამოყვანილი და ახლა 2½ არშინი უკლია შესრულებას.

ჩვენ მართალია ზემო და ქვემო ბიელებს სხვა ორ სოფელთან დაბა ხობში გვაქვს ორ კლასიანი ნორმალური სკოლა, მაგრამ, სიშორის გამო, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. მხოლოდ რაც შეეხება მამა პრ. იოსავას დაარსებულს სამრევლო სკოლას, იგი მოუხერხებელ ადგილზეა გახსნილი, სოფლის განაპირას, 5—6 ვერსზე ქვემო ბიიდან. როგორც სიშორე, აგრეთვე უგზოობა და შეგირდებზე ქირის გარდახდა ხელს გვიშლიდა, რომ გვესარგებლა ამ სკოლით. ამ სკოლაში დაიარებოდა ყოველ წლობით 35—40-დე შეგირდი ხოლო 1897 წელს 1 სეკტემბრიდან ნესტორ სასანია ქვემო ბიის ახალ ეკლესიასთან მთავრობის ნება-რთვით დააარსა სამრევლო სკოლა თავის საკუთარი ხარჯით, რომლის სამთვალიანი ხის შენობა და სხვა მასალა დაუჯდა 300 მანეთად. ამ სკოლაში ჯერჯერობით 58 შეგირდი დადის ორივე სქესისა. სწავლა, როგორც ქვემო ბიელებისა, აგრეთვე სხვა სოფლების შეგირდებისთვისაც უფასოდაა. მ. ნეს. სასანიამ ორასი მანეთი ამ ახალ ეკლესიას შესწირა და ყოველ დღე თავს ადგია შენობას, რისთვისაც საზოგადოებისგან დიდი ქება და პატივი დაიმსახურა.

სოლომონ იოსავა

⁂

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულება
აკ. ცაგარლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.
კედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—25)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на ежедневную
политическую и литературную газету
„НАРОДЪ“
на 1898 годъ
(второй годъ изданія).

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ
ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

Подписная цѣна газеты понижена до **ДЕСЯТИ** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Посвящая свое изданіе, главнымъ образомъ, разработкѣ текущихъ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа, редакція надѣется, что значительное пониженіе цѣны газеты будетъ способствовать доступу ея въ болѣе обширный кругъ читателей и поведетъ, слѣдовательно, къ болѣе широкому обмѣну мыслей между людьми слова и дѣла и ихъ единенію на пользу общую.

Подписная плата:

	На 12 м.	6 мѣс.	3 мѣс.
Въ Россіи, повсемѣстно, съ пересылкою и доставкою	10 р.	5 р.	2 р. 50 к.
За границею, въ государствахъ почтоввго союза . .	14 «	7 »	3 » 50 «

Подписка принимается:
Въ С.-Петербургѣ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.
Въ Москвѣ: въ конторѣ биржеваго маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ).

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращатся въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

NB. Гг. годовые подписчики получатъ отдѣльнымъ изданіемъ всѣ вышедшія въ русскомъ переводѣ и напечатанные въ газетѣ «Народъ», до 1-го января 1898 года, главы романа Эмиля Золя «Парижъ».

Редакторъ Н. Я. Стечкинъ. Издатель А. П. Мальшинскій.
(10—10)

მ. გ. ჯანაშვილის
შედგენილი ანუ გამოცემული წიგნები

		კ.
ა.	საქართველოს ისტორია . . .	70
ბ.	საქართვ. საეკლ. ისტორია . .	45
გ.	მართლმადიდ. ეკლესიის ისტორია	40
დ.	საუნჯე მეათე საუკუნისა . . .	20
ე.	ალვადგინე	30
ვ.	მწერლობა მეათე საუკუნისა . .	40
ზ.	მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი	10
ჱ.	შოთა რუსთაველი - - - - -	40
თ.	ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი - - - - - - -	40
ი.	ათას ერთი ღამე (თარგმანი) - -	40
ია.	სამცხე (გეოგ. აღწერა ვახუშტისა)	20
იბ.	ქართლი (მისივე) - - - - -	25
იგ.	ბამბა და მისი მოყვანა - - -	15
იდ.	ერეკლე მეფის სახსოვარი («ცნ. ფურც.» გამოცემა).	

წიგნები გ, ჱ, ია და იბ მთავრობისაგან მოწონებულია სახმარად და სახელმძღვანელოდ სამრევლო სკოლებისათვის.

საქართველოს საეკლესიო ისტორია მზადდება მეორე გამოცემად.

(10—8)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი

(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის.	„—25
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . . .	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმლებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგავ არაკნი, მისივე . . .	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . .	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა .	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლით და მახვილით, რომანი გ. სენკევიჩისა . . .	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . .	„—20
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . , . .	—50
სიბრძნე ბალავარისი . . .	3—30

(100—51)

Открыта подписка
на изданіе подъ названіемъ
„ИСТОРІЯ РОССІИ“,

имѣющее выйти въ 24-томахъ, изъ коихъ въ составъ первыхъ 12-ти войдетъ полностью (безъ примѣчаній) ‹Исторія Государства Россійскаго› Н. М. Карамзина, остальные же 12 томовъ будутъ служить этому труду продолженіемъ.

Появленіе новаго, предпринятаго нами нынѣ, изданія ‹Исторіи Государства Россійскаго› Карамзина не нуждается, по нашему мнѣнію, въ какомъ либо оправданіи. Достоинства, которыми отличается это замѣчательное сочиненіе, говорятъ сами за себя, а громкая, вполнѣ заслуженная имъ извѣстность даетъ ему право на самое широкое распространеніе.

Другое дѣло—вторая половина нашего изданія, имѣющая цѣлью изложеніе дальнѣйшихъ событій русской исторіи почти до нашихъ дней и потому представляющая собою какъ бы продолженіе названнаго труда Карамзина. Считаемъ необходимымъ, однако, оговориться, что, разумѣется, связь между этими двумя частями нашего изданія можетъ быть только внѣшняя, такъ какъ для продолженія, въ буквальномъ смыслѣ, сочиненія знаменитаго историка надо быть вторымъ Карамзинымъ. Предлагая же публикѣ два названныхъ труда, какъ нѣчто цѣлое, мы руководились слѣдующими соображеніями. Какъ извѣстно, Карамзинъ не окончилъ, къ сожалѣнію, своей ‹Исторіи Государства Россійскаго“—доведенная имъ до послѣднихъ лѣтъ смутнаго времени на руси, она обрывается, такъ сказать, на полусловѣ. Такимъ образомъ, наиболѣе интересный періодъ русской исторіи, именно XVII, XVIII и XIX столѣтія, остался малоизвѣстнымъ большинству читающей публикѣ, и общаго, подобно Карамзинскому, труда, который содержалъ бы популярное изложеніе событій этихъ трехъ вѣковъ, въ русской литературѣ донынѣ не имѣется, если не считать таковыми школьные учебники и университетскіе курсы исторіи, преслѣдующіе свои спеціальныя задачи. Что касается сочиненій извѣстныхъ позднѣйшихъ историковъ (напр., Соловьева, Костомарова и друг.), въ которыхъ изложена значительная часть указанныхъ событій, то они, при всѣхъ своихъ несомнѣнныхъ достоинствахъ, представляется, однако, малодоступными читающей массѣ—одни по своему ученому изложенію, другіе по своей высокой цѣнѣ и т. п. Наконецъ, историческія монографіи, а также историческіе романы и повѣсти нельзя даже принимать во вниманіе, какъ совершенно непригодные для вышеупомянутой цѣли.

Между тѣмъ потребность въ знаніи нашего историческаго за послѣдніе вѣка развитія все болѣе и болѣе усиливается, и потому распространеніе такого знанія путемъ популярнаго изложенія этого развитія слѣдуетъ признать весьма желательнымъ

Идя на встрѣчу этой потребности, мы и намѣрены дать въ послѣднихъ 12-ти томахъ нашего изданія обстоятельный обзоръ всѣхъ событій, имѣвшихъ мѣсто въ жизни Россіи въ періодъ отъ смутнаго времени до восшествія на престолъ Императора Александра III, въ ясномъ общепонятномъ изложеніи, основанномъ на обширной цѣнной литературѣ, которою располагаетъ нынѣ русская исторіографія. При этомъ мы сдѣлали наше изданіе общедоступнымъ и по его крайне невысокой цѣнѣ. Каждый томъ будетъ заключать въ себѣ 15 печ. лист., формата in 8°, всѣ же 24 тома составятъ до 400 печ. лист. или болѣе 6,000 страницъ.

Подписная цѣна: безъ доставки **4** р. **50** к., съ доставкою и пересылкою **6** р.—Допускается разсрочка: при подпискѣ—**2** р.—по полученіи 6-го тома—**2** р. и по полученіи 12-го тома **2** р.—По выходѣ 8-го тома подписная цѣна будетъ повышена.

Вышли изъ печати первые 4 тома и высылаются подписчикамъ немедленно; слѣдующіе печатаются и будутъ разсылаться по мѣрѣ выхода.

Пріемъ подписки производится въ конторѣ изданія (С.-Петербургъ, Литейный проспектъ, д. 33, кв. 13) ежедневно отъ 10 до 4 час. дня.

(12—9) Издатель **В. Максимовъ.**

Открыта подписка на 1898 годъ

(второй годъ изданія)

на еженедѣльный иллюстрированный журналъ

„ТЕАТРЪ и ИСКУССТВО“

Въ 1897 году помѣщены были въ журналѣ произведенія слѣдующихъ лицъ: Авсѣенко В. Г., Александрова Н. А., Амфитеатрова А. В., Арбенина Н. Ф. Бастунова Э. Д., Бентовина Б. И., Генкена В. Г., Гнѣдича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева М. В., Карпова Е. П., Кнорозовскаго И. М., Кояловича М. М., Кравченко Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. II, Немировича-Данченко Вл. И., Плещеева А. А., Потапенко И. Н., Преображенскаго В. П., проф. Сакетти Л. А., Тихонова В. А., Федорова М. II., Фруга С. Г., Южнаго М. Г., Ясинскаго І. І. и др.

Кромѣ названныхъ лицъ обѣщано сотрудничество:
Вейнберга П. И., Голицына кн. Д. П. (Муравлина), Немировича-Данченко Вас. И., Сафонова С. А., проф. Соловьева Н. Ф. и нѣк. др.

Статьи по общественнымъ вопросамъ и теоріи искусствъ, театра и литературы. Фельетоны, Критическіе этюды. Беллетристика. Обширныя корреспонденціи.

Свыше 500 иллюстрацій, портретовъ, нотныя приложенія и т. п.
За годъ изящный томъ на хорошей бумагѣ.

Свыше 1000 страницъ и сверхъ того

не менѣе 15 пьесъ, отдѣльными приложеніями, стоющихъ 20—25 р. Въ 1897 г. даны, между прочимъ слѣдующія пьесы, имѣвшія шумный успѣхъ: „Трильби“, „Катастрофа“, „Наканунѣ“, „Водоворотъ“, „Влюбленная“, „Вѣра Иртеньева“, „Трудовой день“, ‹Волшебная сказка› и другіе.

Изданіе особенно рекомендуетъ любительскимъ кружкамъ, библіотекамъ, общественнымъ собраніямъ, клубамъ и кабинетамъ для чтенія.

Подписная цѣна за годъ съ доставкою 6 р.
„ „ „ полгода „ 4 р.

Допускается разсрочка при подпискѣ 2 р. и по 2 р. 1-го Марта и 1-го Іюня.

Адресъ редакціи и конторы: *С.-Петербургъ, Моховая, 45.*

Редакторъ **А. Р. Кугель.** Издательница **З. В. Тимоѳеева (Холмская).**

(8—8)

Открыта подписка на
„С.-Петербургскія Вѣдомости“
ВЪ 1898 Г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Безъ казенныхъ прибавленій. на годъ	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.	*Съ казенными приб.* на годъ	6 мѣс.
Съ доставкой по гор. почтѣ	6 р.—	9 р.	4—50	1—80	18 р.—	10 р.—
Съ пересылкою иногород.	17 р.—	10 р.	5—50	2— „	19 р.—	11 р.—
За границу	26 р.—	14 р.	8— „	3— „	28 р.—	16 р.—

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Мелье (Невскій пр., № 20); въ Москвѣ въ конторѣ П. Печковской, Петровскія линіи, 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

(12—5) Редакторъ-издатель князь *Э. Э. Ухтомскій.*

საფქვავი

წისქვილები

მზადდება ინჟინერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ
МЕЛЬНИЦЫ
паровыя, водяныя, конноприводныя

изготовляетъ какъ спеціяльность
машино-строительный заводъ инженеровъ
Яралова и Алиханова
въ Тифлисѣ,
Александровская улица, собств. домъ

(100—100)

1898. — открыта подписка — 1898.

на ежедневную политическую, ученую и литературнуюу газету
без предварительной цензуры

СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

Годъ изданія 86-й — ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ — Годъ изданія 86-й
издаваемую Высочайше утвержденнымъ Спб. Акціон. обществомъ печатнаго дѣла „Издатель“

подъ редакціей А. К. Шеллера [А. Михайлова].

Поставивъ своей главнѣйшей задачей дать читателямъ за недорогую цѣну интересную, живую и правдивую газету, отвѣчающую на вопросы, выдвигаемые жизнью, общество „ИЗДАТЕЛЬ“ пригласило къ участію въ газетѣ, кромѣ прежнихъ сотрудниковъ, новыя литературныя силы. Ближайшее участіе въ газетѣ принимаютъ:

Я. В. Абрамовъ, Л. А. Авилова, К. С. Баранцевичъ, **В. В.**, Н Г. Гаринъ (Михайловскій), В. Г. Генкенъ. М. Б. Городецкій, И. Ивановичъ, С. Н. К., Н. В. Максимовъ, Д. Н. Маминъ-Сибирякъ, Г. А. Мачтетъ, **К. В.** Назарьева. Вас. И. Немировичъ-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пруженскій, Э. Л. Радловъ, Н. А. Рубакинъ, А. Сакмаровъ, А. М. Скабичевскій, М. Слобожанинъ, **К. М.** Станюковичъ, **В. А.** Тимирязевъ, А. М. Хирьяковъ, **А. К.** Шеллеръ и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты „**сынъ отчества**“ помѣщается: руководящія статьи и замѣтки по всѣмъ современнымъ вопросамъ политики, литературы, науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутренія, телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и замѣтки, торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты, литературныя, театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, фельетонъ общественной жизни и биллетристика, русская и иностранная.

Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, Годовые подписчики получатъ 52 НУМЕРА ВОСКРЕСНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ, печатаемыхъ **въ видѣ еженедѣльнаго иллюстрированнаго журнала**, гдѣ помѣщаются: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія и проч.

300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ: портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также каррикатуры, шахматныя, шашечныя задачи и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеденій и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою:)

На годъ **8** р.—На полгода **4** р.—На три мѣс.—**2**—р. На одинъ мѣсяцъ **1** р.
Годовые подписчики газеты „Сынъ Отечества“, уплатившіе сполна годовую подписную сумму, могутъ получить художественное изданіе

Библія въ картинахъ знаменитаго художника г. Дорэ.

(200 картинъ въ изящной обертке).

Цѣна для подписчиковъ за экземпляръ безъ доставки 1 р. 50 к., а за прежнія изданія: портреты Ихъ Величествъ, ‹Бурлаки на Волгѣ›, ‹Аѳонъ› и проч., уплачиваютъ за каждый экземпляръ **картины—одинъ рубль** (съ доставкою). Безъ доставки въ Спб.—**75** к.

(10—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Февраля, 1898 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია